საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 9 20 0001054561

30/10/2020

შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1.„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის

მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27[5]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, ცენტრის წინაშე იშუამდგომლოს აკრედიტაციის პირობების გეგმიური ან/და არაგეგმიური მონიტორინგის გზით.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 14 აგვისტოს შპს საქართველოს უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №03-8481 (ცენტრში რეგისტრაციის №1047106) სააკრედიტაციო განაცხადი „სამართალმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისათვის.

2.2 ცენტრის დირექტორის 2019 წლის 8 ოქტომბრის №935 ბრძანების საფუძველზე, შპს საქართველოს უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 18 დეკემბრის №1213 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2020 წლის 17 იანვარს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი შპს საქართველოს უნივერსიტეტში, ხოლო 2020 წლის 28 თებერვალს წარმოდგენილია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		•		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		•		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	•			
	•			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		•		

2.3. საბჭოს 2020 წლის 30 მარტის №62 გადაწყვეტილებით შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაციაზე ერთი წლისა და ექვსი თვის ვადით.
2.4. 2020 წლის 4 ივნისს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს საქართველოს უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი.
2.5. სააპელაციო საბჭოს 2020 წლის 6 ოქტომბრის N 950168 გადაწყვეტილებით, საბჭოს ხელახლა განსახილველად დააბრუნა შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.
2.6. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, აკრედიტაციის საბჭოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება.
2.7. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 16 ოქტომბერს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, აკრედიტაციის საბჭოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების, სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 28^8 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 31 მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,
გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი და ამ გადაწყვეტილების დანართი №1-ით გათვალისწინებულ ,,სამართალმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით და 9 თვეში მონიტორინგის განხორციელების პირობით.
2. ცნობილ იქნას „სამართალმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2020 წლის 30 ოქტომბრის სხდომის N 1054528 ოქმის №02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები:

1. სასურველია, წარმოდგენილ იქნას პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, საიდანაც გამოიკვეთებოდა მათი ურთიერთმიმართება. აღნიშნული აუცილებელია პროგრამის მიზნების მიღწევადობისა და რეალისტურობის შესაფასებლად.
2. სასურველია, წარმოდგენილ იქნას პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა.
3. პროგრამის სწავლის შედეგები ექვსდონოვან დაყოფას უნდა შეესაბამებოდეს სილაბუსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების დონეთა კატეგორიაში დაყოფა, ანდა პირიქით - სილაბუსის სწავლის შედეგის სამდონოვან დაყოფასთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს პროგრამის სწავლის ექვსდონოვანი დაყოფა.
4. სასურველია, განსაზღვრულ იქნას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა და ასევე, პროგრამის სამიზნე ნიშნული მიღწევის მონიტორინგის ვადები (გეგმა).
5. სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ოთხდონოვანი ციკლის ცირკულარი თვითშეფასების ანგარიშშ ყოფილიყო ახსნილი და წარმოდგენილი, წარმდენადაც, ხარისხის უაზრუნველყოფის შიდა სისტემა სწორედ პროცესის დაგეგმვის, შეფასების, მიღებული შედეგების ანალიზისა და განვითარების კუთხით მიემართება.
6. სასურველია, თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობისას გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები იქნას წარმოდგენილი, მათ შორის, ასახულ იქნას თვითშეფასების ანგარიშშ.
7. სასურველია, წარმოდგენილი იქნას კურსამთავრებულთა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვის ფორმა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი.
8. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, აუცილებელია, პერიოდულად მოხდეს მისი უცხოური უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამასთან დადარება, მონაცემები ანალიზი და მიღებული შედეგების გამოყენება (საჭიროების შემთხვევაში) პროგრამის განვითარების მიზნით. აღნიშნული შედარებითი ანალიზი და ანალიზის შედეგები, სასურველია, წარმოდგეილი ყოფილიყო.
9. აუცილებელია, განხორციელდეს სილაბუსების გადახედვა, დაემატოს ან განახლდეს ლიტერატურა.
10. მიზანშეწონილია, პროგრამის სასწავლო კომპონენტის სტრუქტურა წარმოდგენილი იქნას იმგვარად, რომ გარკვეულ საგნებთან მიმართებით სამართლის სადოქტორო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე პროგრამამ განსაზღვროს გარკვეული სასწავლო კურსების არჩევითობის მოდელი, რაც უზრუნველყოფს თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში არჩევითობის კრიტერიუმის სრულად დაკმაყოფილებას და შესაძლებლობას მისცემს დოქტორანტებს, თავად განსაზღვრონ საკუთარი სასწავლო პროფილი.

5. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 6 თვე.
6. მონიტორინგი განხორციელდეს 9 თვეში.
7. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 30 ოქტომბერს.

8. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
ტუფინაშვილი თამარ



N	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალმცოდნეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ის გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N303, 24.12.2014 N62, 30.03.2020 (პირობითი აკრედიტაცია)
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამართალმცოდნეობა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი, 0421
12	კვალიფიკაციის კოდი	0421
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
15	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0171, მ. კოსტავას 77ა
16	მსჯავრდადებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტიელბის ძალაში შესვლის თარიღი	2020 წლის 30 ოქტომბერი
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	ანგარიშის წარმოსადგენად განისაზღვრა 6 თვე (2021 წლის 30 აპრილამდე) მონიტორინგის განსახორციელებლად განისაზღვრა 9 თვე (2021 წლის 30 ივლისამდე)
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2027 წლის 1 ნოემბერი